



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამა

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

შეფასების თარიღები – 9–10.10.2019წ

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი – 5/12/2019წ

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204909858
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მაგისტრი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში – 0915.
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ვალიშვილი – მედიცინის დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინე თოიძე – მედიცინის დოქტორი, პროფესორი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი. კორპორაციის ევექსის შინაგანი მედიცინისა და ამბულატორიულ-დიაგნოსტიკური დეპარტამენტის დირექტორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ აბულაძე – სტუდენტი-დოქტორანტი, უნივერსიტეტი NEW VISION

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნის პროექტი

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება 2010 წლიდან. პროგრამა აკრედიტებულ იქნა 2014 (13.12.2014წ.) წელს. პროგრამის ძირითადი მახასიათებლებია: სპეციალობის სავალდებულო კურსები - 90 კრედიტი; სავალდებულო (საბაზისო) კურსები - 27 კრედიტი; სპეციალობის არჩევითი კურსები - 3 კრედიტი. აკრედიტაციის ახალი სტანდარტების, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს და ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, განხორციელდა პროგრამის მოდიფიცირება-განახლება.

პროგრამაში შესული ცვლილებები განხილულ იქნა საფაკულტეტო და აკადემიურ საბჭოებზე, განხილვაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები და სტუდენტები. კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, პროგრამაში შეტანილ იქნა ახალი სასწავლო კურსები – მეცნიერული კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი (SPSS), სპორტის სოციოლოგია). პროგრამას ასევე დაემატა პრაქტიკული ხასიათის სპეციალური კურსები – სპორტული ნუტრიციოლოგია, ნეიროკოგნიტური დარღვევები ბავშვთა ასაკში, გერიატრიული რეაბილიტაცია, ორთოპედიული რეაბილიტაცია. სამაგისტრო პროგრამაში განხორციელდა სწავლის შედეგების მოდიფიცირება, განახლდა საბიბლიოთეკო ფონდი, კლინიკური ბაზები, შეიქმნა საუნივერსიტეტო ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა –

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 13 სექტემბრის №831-ე ბრძანების საფუძველზე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - თამარ ვალიშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე), მარინე თოიძე (ჯგუფის წევრი), მარიამ აბულაძე (ჯგუფის წევრი) 2019 წლის 9,10 ოქტომბერს განახორციელა ვიზიტი შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედში“.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო და „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დღის წესრიგის მიხედვით ვიზიტის პირველ დღეს განხორციელდა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფებთან (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ფაკულტეტის დეკანთან, ბიბლიოთეკის დირექტორთან, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსთან, პროგრამების ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან).

ვიზიტის მეორე დღეს შედგა შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, შემოწმდა ადგილზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მოხდა დასკვნის პროექტში ასახა შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული მიგნებების და სასწავლო დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის შეჯერება.

დასკვნის პროექტის ძირითადი მიგნებები და ძირითადი ასპექტები ექსპერტებმა გააცნეს სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციას, პერსონალსა და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებს.

სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციამ სრულად შეუწყო ხელი ექსპერტთა მუშაობას და შეუქმნა ყველა პირობა ვიზიტით განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებლად. შედეგად ვიზიტმა მთლიანობაში ჩაიარა საქმიან და კონსტრუქციულ გარემოში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

I სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის სწავლის შედეგები – აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

II სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი – პროგრამა ნაწილობრივ შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა ყოველთვის არ ეფუძნება სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სწავლება-სწავლის მეთოდები – ძირითადად პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

III სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

IV სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამეცნიერო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ/და ჩართული პროგრამის განხორციელებაში, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია უნდა იყოს პროგრამის შესაბამის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ან პროგრამის შემუშავების დებულებაში პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ გაწერილი მოთხოვნები უნდა იყოს დაკორექტირებული.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება – დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

V სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწყევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

შიდა ხარისხის შეფასება – პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ნორმატიული დოკუმენტები, კითხვარების ანალიზი, შედეგები, ასევე საუნივერსიტეტო ნორმატიული დოკუმენტები (დებულებები, პროგრამები, ინსტრუქციები და ა.შ.) ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებ გვერდის მეშვეობით ყველა დაინტერესებული პირათათვის.

პროგრამა ყოველთვის არ ითვალისწინებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. თუმცა აუცილებელია აკადემიური პერსონალის, მოწვეული პედაგოგების, სტუდენტების, დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეცვლისა და მონიტორინგის პროცესის ყველა ეტაპზე, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტაციით.

▪ რეკომენდაციები

1.2. აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზის ინსტრუქციის და შესაბამისი მექანიზმების კორექტირება

2.2. პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და პროგრამის განვითარების მიზნით, აუცილებელია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების რელევანტური ანალიზის ჩატარება; აუცილებელია აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართვა პროგრამის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესებში ;

სამაგისტრო პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები და დაკორექტირდეს საგნების დაჯგუფება;

სასურველია სამაგისტრო პროგრამაში გაიზარდოს არჩევითი საგნების მოცულობითი წილი.

2.3. რიგი სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურა საჭიროებს კორექტირებას.

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების შეფასების რელევანტურობის მიღწევის მიზნით პერსონალმა უნდა კარგად გაიზაროს შეფასების მეთოდები, რუბრიკები და შედეგების ანალიზზე დაკვირვებით გაუმჯობესოს შეფასების ფორმები.

რეკომენდირებულია აკადემიურ პერსონალისთვის, მოწვეულ პედაგოგებისათვის დაიგეგმოს და ჩატარდეს პრაქტიკული ხასიათის ტრენინგები სწავლა-სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით.

4.1 ადამიანური რესურსი

პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია უნდა იყოს პროგრამის შესაბამის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ან პროგრამის შემუშავების დებულებაში პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ გაწერილი მოთხოვნები უნდა იყოს დაკორექტირებული.

5.2 გარე ხარისხის შეფასება – აუცილებელია გარე ხარისხის შეფასების შედეგების გათვალისწინება და შესაბამისი ცვლილებების შეტანა საგანმანათლებლო პროგრამებში

5.3. აუცილებელია აკადემიური პერსონალის, მოწვეული პედაგოგების, სტუდენტების, დამსაქმლებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეცვლისა და მონიტორინგის პროცესის ყველა ეტაპზე, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტაციით;

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.2. ინტენტაციონალიზაციის გაღრმავება გაცვლითი პროგრამებითა და საერთაშორისო პროექტებით, ასევე მეტი უცხოელი ლექტორების ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში.

აკადემიური პერსონალის ტრენინგის განახლება ვალიდური და საიმედო შეფასების განხორციელებაში.

2.3. სასურველია, პროგრამაში მეტი ინფორმაცია იქნეს შეტანილი სხვადასხვა სომატური დაავადების დროს რეაბილიტაციის პრინციპებზე

2.6. სასურველია სამაგისტრო პროგრამის აღწერილობით ნაწილში დაწვრილებით გაიწეროს ნაშრომის შესრულების, წარდგენის და შეფასების პროცედურები.

5.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ნორმატიული დოკუმენტები, კითხვარების ანალიზი, შედეგები, ასევე საუნივერსიტეტო ნორმატიული დოკუმენტები (დებულებები, პროგრამები, ინსტრუქციები და ა.შ) ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებ გვერდის მეშვეობით ყველა დაინტერესებული პირათათვის.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია რეგულაციებთან, თავსებადია უნივერსიტეტის სტრატეგიასთან და მისიასთან და ემყარება საგანმანათლებლო პედაგოგიკის საერთაშორისო სტანდარტებს. პროგრამის საერთო მიზანი მარტივადაა ჩამოყალიბებული და ეფექტურად უნდა განხორციელდეს პროგრამის წარმოდგენილი დიზაინით. სამაგისტრო პროგრამის მიზანია, უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, მოამზადოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე, ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დამყარებული კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრები ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მიმართულებით, რომელსაც ექნება ცოდნა, უნარ-ჩვევები და გამოცდილება დაფუძნებული სფეროს თანამედროვე თეორიულ, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტზე. შეეძლება წარმართოს სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული სქმიანობა ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

• თვითშეფასების ანგარიში • ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა • უნივერსიტეტის წესდება (დამტკიცებულია რექტორის ბრძ. №34, 11.02.2019წ.); • ბაზრის კვლევა; • სტრატეგიული განვითარების გეგმა (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე. ოქმი №04, 30.04.2019წ., რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019წ.) • ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დებულება (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმით №04, 30.04.2019წ.) • ვებ-გვერდი • ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას და ისინი შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის სწავლის შედეგებს აღმწერებს. როგორც სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. მაგისტრანტს ექნება ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, რას საფუძვეს ქმნის ინოვაციებისთვის და ახალი ორიგინალური იდეების განვითარებისთვის. ეცოდინება ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის კლასიფიკაცია, შეფასების სკალები, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მოდელები, ფიზიკური რეაბილიტაციის მიმდინარეობის თავისებურებები, ოკუპაციური თერაპიის ძირითადი საშუალებები; ეცოდინება ტკივილის მართვის პრინციპები; ასევე, ღრმად და სისტემურად ეცოდინება ტრავმა და ტრავმატიზმი, ტრავმის შემდგომი რეაბილიტაცია; ეცოდინება ბავშვთა, მოზარდთა, მოზრდილთა და გერიატრიული პოპულაციის რეაბილიტაციის თავისებურებები; კურსდამთავრებულს ეცოდინება ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დარგში კვლევის მეთოდებისა და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების პრინციპები. კურსდამთავრებულს შეეძლება დამოუკიდებლად მართოს სპორტული დატვირთვის რეჟიმი, მოახდინოს დაკვირვება და მონიტორინგი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე შესაძლო ჯანმრთელობის და სიცოცხლის რისკის თავიდან აცილების მიზნით. ასევე, შეეძლება დასკვნებსა და მყარ არგუმენტებზე დაყრდნობით ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან, მათ შორის, კომუნიკაციის პრობლემის მქონე პირებთან. ფიზიკური და კოგნიტური დარღვევების მქონე პირების საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური სარეაბილიტაციო გეგმის შემუშავების უნარი; საწვრთნო, აღმდგენი და ჰიგიენური მასაჟის ჩატარების უნარი; სპორტსმენის რაციონში საკვები ნივთიერებების ბალანსირებულობის განსაზღვრის უნარი;
--

პროგრამის შედეგები მკაფიო და ხარისხის დონის შესაბამისია. ისინი შეესაბამება სტანდარტებს და ეს ნათლად ჩანს პროგრამის დოკუმენტებიდან. პროგრამის ბუნება უზრუნველყოფს იმას, რომ მაგისტრატურის დამთვრების შემდეგ, სტუდენტებს აქვთ შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია – „შეფასებების მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი N4, 30/04/2019წ). ამ დოკუმენტის თანახმად ხდება სწავლის შედეგების შეფასება როგორც პროგრამის მიმდინარეობის პროცესში, ასევე პროგრამის დასრულების შემდეგაც. უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის მიმდინარეობისას ინსტრუქციის მიხედვით ხდება სტუდენტების სემესტრული მოსწრების ანალიზით (შუალედური და დასკვნითი შეფასება), სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული სერვისების კითხვარის ანალიზით და სტუდენტის სამეცნიერო აქტივობის შეფასებით. აღნიშნული შეფასება წარმოადგენს სტუდენტის მიერ კურსის შეფასებასა და მის აქტივობების და არა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად (რაც საუკეთესო პრაქტიკადაა მიჩნეული), ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას. უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ მას აქვს ბუნდოვანი წარმოდგენა ამ მეთოდოლოგიის მნიშვნელობისა და პრაქტიკული გამოყენების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- თვითშეფასების ანგარიში
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის წესდება (დამტკიცებულია რექტორის ბრძ. №34, 11.02.2019წ.);
- ბაზრის კვლევა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე. ოქმი №04, 30.04.2019წ., რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019წ.)
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დებულება (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმით №04, 30.04.2019წ.)
- ვებ-გვერდი
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

რეკომენდაციები:

აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზის ინსტრუქციის და შესაბამისი მექანიზმების კორექტირება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ინტენტაციონალიზაციის გაღრმავება გაცვლითი პროგრამებითა და საერთაშორისო პროექტებით, ასევე მეტი უცხოელი ლექტორების ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში.

აკადემიური პერსონალის ტრენინგის განახლება ვალიდური და საიმედო შეფასების განხორციელებაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სპეციალობის (ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია) და ინგლისური ენის (B2 დონე) გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე, აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 521-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ პირებს ქართულ ენაში ტესტირების წარმატებით გავლის, სპეციალობის (ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია) და ინგლისური ენის (B2 დონე) გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე. ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი გათავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდისაგან. ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი გათავისუფლდება ქართულ ენაში ტესტირებიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №05, 30.05.2019წ);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (აკადემიური საბჭოს ოქმი №02, 11.02.2019წ.; რექტორის ბრძანება №36, 11.02.2019წ.)
- ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის – „საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემის“ დებულების (დამტკიცებულია შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის აკადემიური საბჭოს სხდომაზე, ოქმი N04, 30/04/2019წ) შესაბამისად.

წინამდებარე დებულების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-ინიცირება მოხდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შრომითი ბაზრის კვლევისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე, რაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა დაადასტურა ინტერვიუების დროს. უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის კვლევისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი ბუნდოვანია, არათანმიმდევრული და ვერ პასუხობს ძირითად კითხვაზე – რამდენად მოთხოვნადი და მნიშვნელოვანია კონკრეტული პროგრამა და პროგრამის კურსდამთავრებული შრომის ბაზარზე და რა კომპეტენციები უნდა აისახოს პროგრამაში დამსაქმებელთა აზრით. პროგრამის, სილაბუსების ახლებურად სტრუქტურირებისას ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, რაც ვერ დადასტურდა ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებულებთან გასაუბრებისას.

მიღებული კვლევის შედეგის შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მიმართა აკადემიურ საბჭოს პროგრამის განხორციელების რეკომენდაციით. საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურ საბჭოზე ინიცირების შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამა აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან ერთად, რაც დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას. ვიზიტის დროს ექსპერტებმა ვერ ნახეს პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პირების შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შეხვედრების ოქმები და ა.შ). აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას ასევე ვერ იქნა დადასტურებული მათი აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.

შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა განხილულ იქნა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, შემდეგ პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადაეცა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელმაც შეამოწმა პროგრამის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ აკრედიტაციის სტანდარტებთან. შემდეგ პროგრამა წარდგენილ იქნა აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად.

საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები მიმართული კურსდამთავრებულების ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავებაზე.

სამაგისტრო პროგრამაში ასახულია უნივერსიტეტის სახელწოდება, პროგრამის სახელწოდება, პროგრამის დამტკიცების რეკვიზიტები, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა კრედიტებში, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების ენა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, სასწავლო გეგმა. პროგრამას ტან ერთვის ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსები, სწავლის შედეგების რუკა, სასწავლო დისციპლინების შესწავლის წინაპირობების მატრიცა, დასაქმების სფერო.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს და მოიცავს 120 კრედიტს (ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს), სულ 3000

საათი. სტუდენტის სამუშაო დატვირთვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი საათები ასახულია კრედიტების სისტემაში.

ერთი აკადემიური წელი შედგება 42 კვირისგან. სემესტრის ხანგრძლივობა 21 კვირა (მათ შორის: სასწავლო 15 კვირა, სასესიო 4 კვირა; დამატებითი გამოცდებისათვის 2 კვირა.).

უმადლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა აგებული შემდეგი პრინციპით: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებიდან – სპეციალობის საგნები – 117 კრედიტის მოცულობით და არჩევითი საგნები – 3 კრედიტის მოცულობით.

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების ჩამონათვალი მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს შემდეგი მოცულობით:

- სპეციალობის (საბაზისო) სავალდებულო კურსები – 27 კრედიტი: მეცნიერული კვლევის მეთოდები (6 კრედიტი), ქცევითი დარღვევები და მათი რეაბილიტაცია (6 კრედიტი), ტკივილის მართვა (5 კრედიტი), სპორტული ნუტრიციოლოგია (5 კრედიტი), ნეიროკოგნიტური დარღვევები (5 კრედიტი);

- სპეციალობის სავალდებულო კურსები - 90 კრედიტი: ოკუპაციური თერაპია (6 კრედიტი), ბავშვთა ნევროლოგია (6 კრედიტი), ფიზიკური მედიცინა 1,2 (13 კრედიტი), ფიზიკური რეაბილიტაცია 1,2 (13 კრედიტი), გერიატრიული რეაბილიტაცია (6 კრედიტი), ორტოპედიული რეაბილიტაცია (6 კრედიტი), სპორტული ტრავმატიზმი (6 კრედიტი), მონაცემთა დამუშავება და ანალიზი (SPSS) (4 კრედიტი), პრაქტიკა სპეციალობაში - 4 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი -26 კრედიტი.

- არჩევითი კურსები - 3 კრედიტი (სპორტული სოციოლოგია ან ბიორეგულაციური მედიცინა).

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შედგენილია უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სწავლის შედეგები. მისი სტრუქტურის თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია, რაც იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ბუნდოვანია, სასწავლო კურსები რა პრინციპით არის დაჯგუფებული: მაგალითად, რატომ წარმოადგენს კურსები – ქცევითი დარღვევები და მათი რეაბილიტაცია, ტკივილის მართვა, სპორტული ნუტრიციოლოგია, ნეიროკოგნიტური დარღვევები საბაზისო სავალდებულო კურსებს და არა სპეციალობის სავალდებულო კურსს;

სასურველია სამაგისტრო პროგრამაში გაიზარდოს არჩევითი საგნების მოცულობითი წილი.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებიდან და შეფასების სისტემის“ დებულება (დამტკიცებულია შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის აკადემიური საბჭოს სხდომაზე, ოქმი N04, 30/04/2019წ);
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნათა ანალიზი;
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე, ოქმი №05, 30.05.2019წ, რექტორის ბრძ. №162, 30.05.2019წ.);
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრება.

რეკომენდაციები:

- პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და პროგრამის განვითარების მიზნით, აუცილებელია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების რელევანტური ანალიზის ჩატარება;
- აუცილებელია აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართვა პროგრამის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესებში ;
- სამაგისტრო პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები და დაკორექტირდეს საგნების დაჯგუფება;
- სასურველია სამაგისტრო პროგრამაში გაიზარდოს არჩევითი საგნების მოცულობითი წილი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება
☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, პროგრამა დარგობრივი ცოდნის მიწოდების უზრუნველსაყოფად, მოიცავს პროფილურ დისციპლინათა სასწავლო კურსებს. სასწავლო პროგრამა დაფუძნებულია იმ მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლაზე, რაც აუცილებელია თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სხვადასხვა სფეროებში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად.

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა), რომლებიც არის გაწერილი და ცნობილია სტუდენტებისათვის. ყველა სილაბუსში პირველი მეცადინეობა ეთმობა სილაბუსის გაცნობას, რაც დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებით.

სასწავლო კურსების ყველა სილაბუსში მითითებულია სავალდებულო და დამხმარე სასწავლო მასალა, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელოს, მეთოდურ რეკომენდაციებს, სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებს და სხვა. სასწავლო ლიტერატურა ძირითადად დაკომპლექტებულია დარგის მიღწევებზე დაფუძნებული წიგნებით და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკის ფონდი ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფორმით შეიცავს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას. თუმცა, რიგი სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურა საჭიროებს კორექტირებას. მაგალითად,

- სასწავლო კურსის „ქვევითი დარღვევები და მათი რეაბილიტაცია“ ძირითადი ლიტერატურა არ არის კურსის შინაარსის რელევანტური: კვაჭაძე ირ. - ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები. თბ., 2013; გერიგი რ., ზიმბარდო ფ. - ფსიქოლოგია და ცხოვრება. მე-16 გამოცემა, 1-2 ნაწ., თბ., 2009;
- სასწავლო კურსში „სპორტული ნუტრიციოლოგია“ ძირითად სახელმძღვანელოდ მითითებულია ინგლისურენოვანი წყაროები – Schlenker E. D., Roth S.L. - Williams' Essentials of Nutrition and Diet Therapy, Revised Reprint, 10th Ed., Elsevier, 2011; Nix S. - Williams' Basic Nutrition & Diet Therapy. 13th Ed., Mosby Elsevier, 2009.

სილაბუსებში ასახული ყველა ლიტერატურა მოიპოვება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე, ოქმი №05, 30.05.2019წ, რექტორის ბრძ.№162, 30.05.2019წ.);

საბიბლიოთეკო რესურსის ვიზუალური დათვალიერება;
რეკომენდაციები: - რიგი სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურა საჭიროებს კორექტირებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, პროგრამაში მეტი ინფორმაცია იქნეს შეტანილი სხვადასხვა სომატური დაავადების დროს რეაბილიტაციის პრინციპებზე
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და სამეცნიერო კვლევითი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. პროგრამის სტუქტურაში არსებული სავალდებულო კომპონენტები (მონაცემთა დამუშავება და ანალიზი SPSS, მეცნიერული კვლევის მეთოდები) გაურღმავებს სტუდენტს სამეცნიერო კვლევის უნარებს და განუვითარებს კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს. სტუდენტი პროგრამის ფარგლებში სარგებლოს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსით, ლაბორატორიებით, თანამედროვე აღჭურვილობის მქონე რეაბილიტაციის ცენტრით. სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავებასა და განმტკიცებას. პირველივე სემესტრიდან პროგრამაში ჩართულია პრაქტიკული ხასიათის სასწავლო კურსები – ოკუპაციური თერაპია, სპორტული ნუტრიციოლოგია, ქვევითი დარღვევები და მათი რეაბილიტაცია. სამაგისტრო პროგრამაში მეორე და მესამე სემესტრში გრძელდება სპეციალობის ძირითადი კურსების მეშვეობით პრაქტიკული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება, რასაც ემსახურება ფიზიკური მედიცინა 1,2; ფიზიკური რეაბილიტაცია 1,2; გერიატრიული რეაბილიტაცია; ორთოპედიული რეაბილიტაციის კურსები. მე-4 სემესტრში გათვალისწინებულია პრაქტიკა სპეციალობაში – 100 საათის მოცულობით – სულ 4 კრედიტი. შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი სრულიად საკმარისია სწავლის შედეგების მიღწევისათვის. მე-4 სემესტრში პროგრამით გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულება. ამ კურსის ძირითადი მიზანია – მაგისტრანტს მისცეს საკვლევი საკითხის ღრმა და სისტემური ცოდნა; განუვითაროს საკვლევი საკითხების შერჩევისა და კვლევის დამოუკიდებლად განახორციელების, ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვებისა და კვლევის საკითხებთან მისი რელევანტურობის შეფასების, საკვლევი საკითხების შესაბამისი ექსპერიმენტალური ან თეორიული მეთოდებისა და მიდგომების შერჩევისა და გამოყენების, კვლევის შედეგების

კრიტიკული ანალიზისა და მათი ინტერპრეტაციის, საკუთარი კვლევის შედეგებისა და გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიის წერილობითი სახით მომზადებისა და ზეპირი წარმოდგენის უნარ-ჩვევები; შეძლოს მიღებული შედეგების წარმოდგენა წერილობით, სამაგისტრო ნაშრომის სახით, მისი პრეზენტაცია და დაცვა.

სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“ სტუდენტებს ხელს უწყობს კვლევითი პროექტების განხორციელებასა და დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. დაწესებულება გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს, რომელიც დაკომპლექტებულია საკონფერენციო მასალებით, სადაც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა და დარგის სპეციალისტებმა, ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები. შიდა კონფერენციებზე გამარჯვებული სტუდენტები იღებენ მონაწილეობას რესპუბლიკურ სამეცნიერო ფორუმებში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც სტუდენტებს ეხმარება დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში (სპორტული, კულტურული ღონისძიებები და სხვა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №05, 30.05.2019წ);
- საუნივერსიტეტო რეაბილიტაციის ცენტრი ვიზუალური დათვალიერება;
- სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუ

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები ძირითადად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი სწავლების მეთოდები: მასალის ვერბალური პრეზენტაცია, მასალის დემონსტრირება, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება; ლაბორატორიული სამუშაო, პირდაპირი ინსტრუქცია, დისკუსია, დებატები, ბლიც გამოკითხვა, ანალიზი, სინთეზი, მასალის შეჯამება, ალბომის წარმოება, ქვიზი, ტესტი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერიითი მუშაობის მეთოდი, IT ტექნოლოგიების გამოყენებით დამატებითი მასალის მოძიება, კონსულტაცია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი – PBL, შემთხვევის ანალიზი – Case Study, გონებრივი იერიში (brain storming).

ყველა სილაბუსში გაწერილია სწავლების მეთოდები, ისინი შერჩეულია საგნის სპეციფიკიდან

გამომდინარე და მიმართულია სასწავლო კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. <u>აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ვერ დადგინდა, თუ როგორ იყენებენ ან როგორ მოხდება პრაქტიკულად ისეთი მეთოდების იმპლემენტაცია სწავლების პროცესში, როგორებიცაა ქეის ზე დაფუძნებული სწავლება (CBL), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL).</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დამტკიცებულია აკადემიური სამსახურის სხდომაზე, ოქმი №09, 15.08.2019წ.); • სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, ინტერვიუება;
რეკომენდაციები: • სწავლის შედეგების შეფასების რელევანტურობის მიღწევის მიზნით პერსონალმა კარგად უნდა გაიაზროს შეფასების მეთოდები, რუმბრიკები და შედეგების ანალიზზე დაკვირვებით გაუმჯობესოს შეფასების ფორმები. • რეკომენდირებულია აკადემიურ პერსონალისთვის, მოწვეულ პედაგოგებისთვის დაიგეგმოს და ჩატარდეს პრაქტიკული ხასიათის ტრენინგები სწავლა-სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალად და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალად და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სასწავლო უნივერსიტეტის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. კურსის შემაჯამებელი შეფასება ითვალისწინებს 2 შემადგენელ კომპონენტს – შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში, რომელსაც განსაზღვრავს პედაგოგი და რომელიც მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსში – 70/30 (შუალედური შეფასება შეადგენს 70%, დასკვნითი გამოცდა – 30%) ან 60/40 (შუალედური შეფასება შეადგენს 60%, დასკვნითი გამოცდა – 40%). შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (შუალედური გამოცდა, აქტიურობა

სემინარებზე/პრაქტიკულზე, პრეზენტაცია, ქვიზი, სიტუაციური ამოცანები, ესეი და ა.შ.). სემესტრული შეფასების კომპონენტებს კურსის ხელმძღვანელი ირჩევს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარდა შუალედური გამოცდისა და მისი პროცენტული მაჩვენებელი 70/30-ის შემთხვევაში არის 30 ქულა, ხოლო 60/40-ის შემთხვევაში – 20 ქულა. შუალედური გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ არსებობს, სტუდენტს არ აქვს უფლება შუალედური გამოცდის ხელმოწერა ჩაბარების, გარდა საპატიო მიზეზით გაცემილი გამოცდისა.

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა დასკვნით გამოცდაზე გასვლის არის ჯამური შუალედური შეფასების მინიმუმ 50%. დასკვნითი გამოცდა, დასკვნითი შეფასების აუცილებელი პირობაა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%+1-ია, ნაკლების მიღების შემთხვევაში დასკვნითი გამოცდის შეფასება ნულოვანია და თუ სტუდენტის ქულა 41-50 ქულამდე მერყეობს, მას ეძლევა დასკვნითი გამოცდის გადაბარების უფლება, თუ სტუდენტის ჯამური ქულა 41-ზე ნაკლებია, ის საგანს თავიდან გადის. თუ სტუდენტის შუალედური შეფასება ტოლია ან მეტია 51 ქულის, სტუდენტი ვალდებულია დასკვნით გამოცდაზე გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში საგანი ჩაბარებულად არ ჩაითვლება.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

- ფრიადი (*summa cum laude*) - შესანიშნავი ნაშრომი (91-100 ქულა);
- ძალიან კარგი (*magna cum laude*) - შედეგი, რომელიც წაუენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება (81-90 ქულა);
- კარგი (*cum laude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება (71-80 ქულა);
- საშუალო (*bene*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს (61-70 ქულა);
- დამაკმაყოფილებელი (*rite*) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს (51-60 ქულა);
- არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს (41-50 ქულა);
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს (0-40 ქულა).

სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო ჯამური ქულა გამოითვლება კომისიის წევრთა მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკულის მეშვეობით.

სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა ტარდება 21-ე კვირას და ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ნაშრომის აგებულება – 5 ქულა; დასახული მიზნებისა და კვლევის მეთოდების ურთიერთშესაბამისობა – 15 ქულა; გამოყენებული წყაროების მრავალფეროვნება და ვალიდურობა – 10 ქულა; ციტირების ტექნიკა – 5 ქულა; პრეზენტაციის ტექნიკა და ტექნოლოგია – 5 ქულა; თემის აქტუალობა და წარმოჩენა – 15 ქულა; მსჯელობისა და კრიტიკული ანალიზის უნარი – 15 ქულა; დასკვნები და რეკომენდაციები – 10 ქულა; კვლევის დაგეგმვა და განხორციელება – 15 ქულა; რეგლამენტის დაცვა – 5 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტს შესრულებულად ჩაითვლება, თუ შეფასებისა და აგრძელებს 51 და მეტ ქულას. სამაგისტრო ნაშრომის 41-50 ქულით შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

სამაგისტრო ნაშრომის 0-40 ქულით შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას. მას ენიჭება უფლება შეარჩიოს ახალი თემა და ხელმძღვანელი, სამაგისტრო ნაშრომი დაიცვას კომისიის წინაშე შემდეგ სასწავლო წელს.

შეფასების სისტემის შესახებ სტუდენტები ინფორმაციას იღებენ როგორც უნივერსიტეტის სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ასევე პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლებისა და დეკანატის თანამშრომლებისაგან (რაც დასტურდება სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუებით).

სწავლის შედეგების ობიექტური შეფასების მიზნით უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგამოცდო ცენტრი,

სადაც სტუდენტთა მიერ შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩაბარება უზრუნველყოფილია კომპიუტერული პროგრამებით.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენის და შეფასების ინსტრუქციაში დაწვრილებით გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცედურა, ჩაშლილია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები, რაც, სასურველია, სამაგისტრო პროგრამაშიც აისახოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე, ოქმი №09, 15.08.2019წ.);
- სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (აკადემიური საბჭოს ოქმი №02, 11.02.2019წ.; რექტორის ბრძანება №36, 11.02.2019წ.);
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სამაგისტრო პროგრამის აღწერილობით ნაწილში დაწვრილებით გაიწეროს ნაშრომის შესრულების, წარდგენის და შეფასების პროცედურები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არარის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სხვადასხვა კულტურული, სპორტული თუ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის, კარიერული განვითარების შესახებ, რომლის ინფორმატულობასა და სტუდენტების ჩართულობას უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული დაწესებულების პერსონალი. სტუდენტებს ეძლევათ საშუალება მიიღონ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა მათი სურვილისამებრ, ამასთანავე პროგრამაში სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გათვალისწინებულია აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვა საკონსულტაციო საათებით საჭიროებისამებრ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №09, 15.08.2019წ.); • სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის დებულება (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №04, 30.04.2019წ., რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019წ.) • ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დებულება (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №01, 25.01.2019წ., რექტორის ბრძანება №20, 25.01.2019წ.); • სტუდენტებთან, სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან გასაუბრება;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო თემის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი. საკვლევი თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, პრიორიტეტი შეიძლება მიენიჭოს ხელმძღვანელის სამეცნიერო და/ან პრაქტიკულ გამოცდილებას, ასევე მისი ხელმძღვანელობით ადრე შესრულებული თემების აქტუალობასა და გამართულობას. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე მოიწვიოს და პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი კომპონენტის გასაძლიერებლად ნაშრომის განხორციელებაში ჩართოს დარგის ღირებული აკადემიური ან პროფესიული გამოცდილების მქონე პერსონალი სხვა საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია: დაეხმაროს მაგისტრანტს თემის შერჩევაში, გეგმის

შედგენასა ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში; პერიოდულად შეამოწმოს თემაზე მუშაობის მიმდინარეობა, გამოთქვას შენიშვნები და გაუწიოს შესაბამისი კონსულტაციები; განუმარტოს მაგისტრანტის მისი უფლებამოსილებები და მოსთხოვოს მათი დაცვა; გაუწიოს კონსულტაციები მაგისტრანტს ინდივიდუალური გეგმის შედგენაში და აკონტროლოს მისი შესრულება. ნაშრომის დასრულების შემდეგ მოამზადოს წერილობითი დასკვნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №05, 30.05.2019წ);
- სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან გასაუბრება;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლის პროგრამაში ჩართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მისი კვლევითი აქტივობა, რაც დასტურდება სამეცნიერო/სამეცნიერო-მეთოდური პუბლიკაციებით.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

სამსაგისტრო პროგრამას „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ ემსახურება 15 აკადემიური პირი, კერძოდ, 3 ავდილირებული პროფესორი, 3 ავდილირებული პროფესორი, 1 ავდილირებული ასისტენტ პროფესორი; და 8 მოწვეული პერსონალი.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ის უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. თუმცა, უნივერსიტეტის დებულებისა და პროგრამის შემუშავების დებულების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამის შესაბამის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არის უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის და მწვრთნელის დიპლომი მშვილდოსნობაში, დოქტორის ხარისხი აქვს მინიჭებული პედაგოგიკაში, შესაბამისად ის ვერ აკმაყოფილებს უნივერსიტეტის დებულებაში გაწერილ მოთხოვნას – მას არ აქვს პროგრამის შესაბამის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, განსაზღვრული საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ, საქართველოს შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის წესდებით, სტრუქტურით და შინაგანაწესით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე, ოქმი №05, 30.05.2019წ, რექტორის ბრძ.№162, 30.05.2019წ.);
- შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის დებულება (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმით №04, 30.04.2019წ.);
- მაგისტრატურის დებულება (დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე, ოქმი N2, 11/02/2019წ);
- აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან გასაუბრება;

რეკომენდაციები:

- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია უნდა იყოს პროგრამის შესაბამის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ან პროგრამის შემუშავების დებულებაში პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ გაწერილი მოთხოვნები უნდა იყოს დაკორექტირებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული უნარების განვითარების მიზნით უნივერსიტეტში ხორციელდება ტრენინგები „სწავლების თანამედროვე მეთოდებში“. ტრენინგი სავალდებულოა უნივერსიტეტის ყველა აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის და ფინანსდება უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების ფონდიდან. შპს innovative systems Managements-სა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ყოველწლიურად ტარდება ონლაინ-ტრენინგი აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის EBSCO-ს სერვისების შესახებ (კვლევისა, წიგნების და სამეცნიერო პუბლიკაციების ელექტრონული ბაზა). უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს აქვთ მუდმივი ცვდობა ელსევის ელექტრონულ ბაზებთან. უნივერსიტეტი სამეცნიერო კვლევების ფონდიდან უზრუნველყოფს პერსონალის ტრენინგების ჩატარებას, სამუშაო მივლინებებს, კონფერენციებზე დასწრებას, ასევე უზრუნველყოფს კვარტალურ საუნივერსიტეტო სამეცნიერო შრომათა კრებულის გამოცემას (მედიცინის და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები). უნივერსიტეტის აკადემიური/აფილირებული პერსონალისთვის სტატიის განთავსება ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - აკადემიური პერსონალის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ინტერვიუება; - სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №04, 30.04.2019წ, რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019წ.); - მემორანდუმი და ხელშეკრულება საგანმანათლებლო ინიციატივების ცენტრთან - აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასების სისტემა(აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №04, 30.04.2019წ, რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019წ.);
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტი ფლობს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის საერთო, დამხმარე და საჭირო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო ფართს; პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა საჭიროებს პერსონალურ კომპიუტერებს, სასწავლო მაგიდებს, სკამებს, დაფებს და ა.შ., რითაც პროგრამა არის უზრუნველყოფილი. უნივერსიტეტს გააჩნია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კლასი. უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს კომპიუტერული საგამოცდო ცენტრი. ბიბლიოთეკა ორიენტირებულია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტისა სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ინფორმაციულ ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაზე. ბიბლიოთეკის გარემო, რესურსები, სერვისები და მათი განვითარება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას. ბიბლიოთეკის საქმიანობა რეგულირდება ბიბლიოთეკის დებულებით. ბიბლიოთეკა მოიცავს წიგნსაცავს და სივრცეებს ბიბლიოთეკით მოსარგებლეთათვის. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარით – მაგიდებით, სკამებით, კომპიუტერებით, და სხვა. შესაძლებელია მულტიფუნქციური პრინტერით სარგებლობა. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია ინტერნეტით. დადგენილია და თვალსაჩინოდ განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. უნივერსიტეტის შენობაში გახსნილია თანამედროვე აპარატურითა და დანადგარებით აღჭურვილი სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც იგეგმება პრაქტიკული კურსების ჩატარება. სასწავლო პროცესის ეფექტური გამართვის მიზნით უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები შემდეგ კლინიკურ ბაზებთან და ორგანიზაციებთან: 1. შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ – 11.06.2019წ; 2. ა)ა)კ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი – მემორანდუმი 21/09/2018წ; 3. შპს „ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი“ – 22/01/2018წ; (ნევროლოგია, ბავშვთა ნევროლოგია) 4. სამკურნალო სარეაბილიტაციო ცენტრი „სკენარი“ – 28/09/2018წ 5. სპორტული კომპლექსი არენა II –თან არსებული ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ცენტრი; ხელშეკრულება; 01/05/2019წ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ვიზუალური დათვალიერება; • ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე, ოქმი №05, 30.05.2019წ, რექტორის ბრძ.№162, 30.05.2019წ.); • კლინიკურ ბაზებთან ხელშეკრულებები, მემორანდუმები • ბიბლიოთეკის დებულება (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №08, 04.08.2017, ბრძანება №190, 04.08.2017); • ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია ფინანსურად. არსებობს ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია სახელფასო ფონდი, საოფისე ხარჯები, სამეცნიერო კვლევებზე გამოყოფილი თანხა, საბიბლიოთეკო ხარჯი, კომუნალური ხარჯი, საკანცელარიო, რემონტის, ინვენტარის და ხელსაწყოების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, საბიუჯეტო ხარჯები და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლს.

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება შიდა და გარე მექანიზმები, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მუდმივი განვითარება, მონიტორინგი, სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური რესურსის ეფექტური გამოყენება, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების და პროგრამაში შემავალი ყველა კომპონენტის დაგეგმილ პერიოდულ მონიტორინგს. ხარისხის უწყვეტი სრულყოფის მექანიზმების განხორციელება ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მიმდინარე ეტაპის დადგენას და შემდეგ ეტაპზე ხარისხის ამაღლების სტრატეგიის განსაზღვრას.

უნივერსიტეტში წარმოებს სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლების გამოკითხვა. შემუშავებულია და დანერგილია კითხვარების ანალიზისა და შედეგების ეფექტური ელექტრონული მექანიზმი.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების მექანიზმი შემუშავებულია, დოკუმენტაცია ხარისხის სამსახურის მუშაობის შესახებ, ისევე, როგორც სხვა დოკუმენტაცია, საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი, რადგან ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაციის სანახავად აუცილებელია პაროლის შეყვანა, რის გამოც, სხვა დაინტერესებული პირი ვერ შეძლებს ამ ინფორმაციის ნახვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები (აკადემიური საბჭოს ოქმი №04, 30.04.2019, რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019)
- საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა (აკადემიური საბჭოს ოქმი №04, 30.04.2019, რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019)
- ანკეტა/კითხვარების შედეგები
- ვებ გვერდი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (აკადემიური საბჭოს ოქმი №04, 30.04.2019, რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ნორმატიული დოკუმენტები, კითხვარების ანალიზი, შედეგები, ასევე საუნივერსიტეტო ნორმატიული დოკუმენტები (დებულებები, პროგრამები, ინსტრუქციები და ა.შ) ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებ გვერდის მეშვეობით ყველა დაინტერესებული პირათათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს, რაც გულისხმობს: ავტორიზაციის, აკრედიტაციის, პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშისა და მონიტორინგის შედეგებს და ახორციელებს ექსპერტთა დასკვნებისა და რეკომენდაციების ანალიზს, რომლის საფუძველზეც პროგრამაში შედის ცვლილებები.

თუმცა უნივერსიტეტის მიერ არ იქნა გაზიარებული საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წინა აკრედიტაციის ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები, რაც ეხებოდა პროგრამის სასწავლო კურსებს, ინფორმაციის გასაჯაროებას ვებ გვერდის მეშვეობით, საბიბლიოთეკო რესურსის სრულყოფას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები (აკადემიური საბჭოს ოქმი №04, 30.04.2019, რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019)
- საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების სისტემა (აკადემიური საბჭოს ოქმი №04, 30.04.2019, რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019)
- ანკეტა/კითხვათა შედეგები
- ვებ გვერდი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (აკადემიური საბჭოს ოქმი №04, 30.04.2019, რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019)

რეკომენდაციები:

- გარე ხარისხის შეფასების შედეგების გათვალისწინება და შესაბამისი ცვლილებების შეტანა საგანმანათლებლო პროგრამებში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში და დასტურდება შესაბამისი კითხვარების არსებობით. თუმცა აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან გასაუბრებისას არ დასტურდება მათი ჩართულობა პროგრამის მონიტორინგის პროცესში.

აღნიშნული სამსახურის მიერ შემუშავებულია შეფასების მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის მიმდინარეობის პროცესში და პროგრამის დასრულების შემდგომ პერიოდში, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ მას აქვს ბუნდოვანი წარმოდგენა ამ მეთოდოლოგიის მნიშვნელობისა და პრაქტიკული გამოყენების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შეფასებების მონაცემების ანალიზის მეთოდოლოგია;
- ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელთან გასაუბრება;

რეკომენდაციები:

- აუცილებელია აკადემიური პერსონალის, მოწვეული პედაგოგების, სტუდენტების, დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეცვლისა და მონიტორინგის პროცესის ყველა ეტაპზე, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტაციით;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო
პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 27 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე



თამარ ვალიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი



მარინე თოიბე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი



მარიამ აბულაძე